სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2023 წელს უფლებრივ მდგომარეობას აფასებს

შესავალი

2023 წელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევროინტეგრაციის მიმართულებით. წლის ბოლოს ევროკომისიის მიერ ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე რეკომენდაცია ცალსახად პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღმა, ნიშანდობლივია დემოკრატიული სივრცეების და უფლებრივი სტანდარტების მნიშვნელოვნად გაუარესება. გაზრდილი წნეხი სამოქალაქო ორგანიზაციებსა თუ მედიაზე არსებითად ართულებს მათ თავისუფალ, შეუზღუდავ მუშაობას. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულება და მათზე დემოკრატიული კონტროლი კიდევ უფრო შესუსტებულია. ამ კონტექსტში, კიდევ უფრო იზრდება მოლოდინი საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტზე, რომ ადამიანის უფლებების კრიტიკულ საკითხებზე ექნება მკაფიო პოზიციები და იქნება აქტიური მებრძოლი ყველაზე სუსტი და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დასაცავად.

ინსტიტუციურ დონეზე კვლავაც მწვავე გამოწვევად რჩება სახელმწიფო უწყებების, განსაკუთრებით კი მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიზება და მათი ინსტრუმენტალიზება პარტიული მიზნებით. ამავდროულად, 2023 წელს შენარჩუნდა გასული წლების ტენდენცია, რომელიც სახელმწიფო უწყებების ჩაკეტილობასა და დაბალ ანგარიშვალდებულებაზე მიანიშნებდა. პრობლემურია საქართველოს პარლამენტში კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში სამოქალაქო თუ პროფესიული ჯგუფების არასაკმარისი ჩართულობა; აგრეთვე, საქართველოს პარლამენტი კვლავაც რჩება ადგილად, სადაც ნაცვლად პოლიტიკური და იდეური დაპირისპირებისა, წინა ხაზზეა პიროვნული აგრესია, შეურაცხმყოფელი და აგრესიული რიტორიკა ოპონენტების მიმართ, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყანაში პოლიტიკურ პოლარიზაციას. საკანონმდებლო ორგანოში 2023 წელს გამორჩეულად მძიმე იყო ქალი პოლიტიკოსების მიმართ ბულინგის, ძალადობის და შეურაცხყოფის უკვე ნორმალიზებული პრაქტიკა, რომლის ავტორებიც, როგორც წესი, მმართველი პარტიის ლიდერები იყვნენ ხოლმე.

2023 წელი ასევე მძიმე იყო კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის. ოკუპაციის ხაზთან რუსი სამხედროების მიერ ეკლესიასთან სასტიკად მოკლული თამაზ გინტურის საქმემ შეძრა ჩვენი საზოგადოება. აფხაზეთში კი კვლავ პატიმრობაში რჩებიან ირაკლი ბებუა, ქრისტინე თალაკანძე და ასმათ თავაძე და მათი გათავისუფლება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური ცვლილებების

გამო (ომი უკრაინაში, ყარაბაღის ომი და შემდგომი ესკალაცია) აფხაზურ საზოგადოებაში გაზრდილია ბუნდოვანობა და შიშები მომავლის მიმართ, რუსეთის ფორსირებული ანექსიური ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ კი სულ უფრო მეტი უკმაყოფილება ჩანს ადგილზე, კონფლიქტების ტრანსფორმაციის და მშვიდობის პოლიტიკის მიმართულებით ხელისუფლებას წინ არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. კვლავაც უცნობია, რა ეტაპზეა დეოკუპაციის და სამშვიდობო პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავების პროცესი და რა მიდგომებს და მიზნებს დაეფუძნება ის.

მიმდინარე წელს თვალშისაცემი იყო ადამიანის უფლებათა პოლიტიკაში და ხელისუფლების რიტორიკაში კონსერვატიული შემობრუნება. ამ კონტექსტში სულ უფრო მწვავედ დგას ლგბტ(ქ)ი უფლებების პოლიტიკური აღიარების სირთულე და პოლიტიკური ჰომოფობია, რაც ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებების დაცვას ართულებს. ხაზგასასმელია, რომ 2023 წლის მარტში მთავრობის მიერ დაგვიანებით მიღებული 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია არ მოიცავს ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებების დაცვის საკითხებს. იგივე მიდგომაა გატარებული მთავრობის მიერ ინიცირებულ 2024-2026 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, რაც ცალსახა წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების პრინციპებთან და ევროკომისიის რეკომენდაციებთან. სხვა წლების მსგავსად, წელს თბილისი პრაიდის მიერ კერძო სივრცეში ორგანიზებული ღონისძიება ექსტრემისტული მოძრაობების მხრიდან დარბევის და ძალადობის საგანი გახდა. აღნიშნული მოძრაობის ლიდერები კვლავ დაუსჯელები რჩებიან, რაც მათ მიმართ ხელისუფლების პოლიტიკური ლოიალობის აშკარაა ინდიკატორია.

მიუხედავად იმისა, რომ გამკაცრებულია ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკა, იძულებითი ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. საქმეების დიდ ნაწილზე გამოძიება წყდება, ბრალდებულ პირებთან კი ფორმდება საპროცესო შეთანხმება. სუსტია პოლიციის, სოციალური დაცვისა და განათლების სისტემებს შორის კოორდინაცია. განსაკუთრებით სუსტ რგოლად რჩება სოციალური სამსახურები, რომლებსაც ადამიანური რესურსების დეფიციტი აქვს.

მიმდინარე წელს შემზარავი იყო 14 წლის აითაჯის მისი ე.წ. ქმრისგან მკვლელობის საქმე, რომელიც მანამდე იძულებითი ქორწინების მსხვერპლი გახდა და სისტემამ, თემმა და ოჯახმა ბავშვი ვერ დაიცვა. ეს საქმე კონკრეტულ საქმეზე დანაშაულის სუსტი პრევენციის მიღმა, ბავშვთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი პრევენციის სისუსტეს აჩვენებს და კიდევ უფრო დიდ სურათში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო უწყებების სათანადო ფუნქციონირების პრობლემას უკავშირდება.

მთავრობის რიტორიკაში კონსერვატიული რიტორიკის და მიდგომების გაძლიერების ფონზე ჩანს ნეგატიური ტენდენცია რელიგიური თანასწორობის მიმართულებით. ტყის კოდექსში შეტანილი დისკრიმინაციული მიდგომების შემდეგ, რომელმაც ექსკლუზიურად მხოლოდ

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაითვალისწინა ტყის მასივები გადაცემის შესაძლებლობა, პრეფერენცირების და უთანასწორობის ეს ტენდენცია გაგრძელდა მიმდინარე წელს მიღებულ თავდაცვის კოდექსშიც. ახალი ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის პროექტი კი ითვალისწინებს რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მოქმედი კანონმდებლობის აშკარა გაუარესების რისკებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოების მხრიდან. სამწუხაროდ, რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის მიმართულებით სტანდარტების აშკარა გაუარესების ტენდენცია ჩანს სასამართლო გადაწყვეტილებების დონეზეც (ბათუმის მეჩეთის საქმე, მარნეულში რელიგიების დისკრიმინაციული საბიუჯეტი დაფინანსების საქმე).

ეთნიკური უმცირესობების დაცვის მიმართულებით წელს დაინიცირდა ბილინგვური განათლების მასობრივი სწავლების პროგრამები, რაც მნიშვნელოვანი განაცხადია. თუმცა იმის გამო, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს არ შეუმუშავებია აღნიშნული რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რთულია მისი რესურსების და შესაძლებლობების ზუსტი გაზომვა. მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, ეთნიკური უმცირესობების სოციალური გარიყულობის მძიმე მასშტაბებს, რომელსაც სამწუხაროდ სახელმწიფოს არსებული სოციალური პოლიტიკა არ პასუხობს. ეს უკავშირდება სახელმწიფო სერვისების როგორც გეოგრაფიულ, ასევე ენობრივ ხელმისაწვდომობას უმცირესობებისთვის.

თანასწორობის საკითხებთან ერთად, მიმდინარე წელს ასევე დიდწილად იყო სოციალური უთანასწორობა და მისგან მომდინარე უფლებრივი პრობლემები. 2023 წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზე იყო - მარტში შემწეობას 676 641 ადამიანი იღებდა. ამასთან, 2023 წლის მაისის მონაცემებით, ქვეყნის 64 მუნიციპალიტეტიდან 32-ში საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 25 %-ს აღემატებოდა, ხოლო საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში (ქედის, ონის, ცაგერის, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტები) შემწეობის მიმღებთა წილმა მოსახლეობის ნახევარს გადააჭარბა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემწეობას ვერ იღებს ქუჩაში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც უკიდურეს მოწყვლადობაში იმყოფებიან და სახელმწიფოსგან მხარდაჭერას საჭიროებენ.

2023 წლის განმავლობაში კვლავ დაფიქსირდა არაერთი შრომითი უფლების დარღვევა, მათ შორის, სამართლიანი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უგულებელყოფის, ღირსეული ცხოვრებისათვის შეუსაბამო ანაზღაურების, გადაჭარბებული სამუშაო საათებისა და აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომის კუთხით. კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამუშაო ადგილზე გარდაცვალებისა და დაშავების შემთხვევები. დამსაქმებელთა ცნობიერებისა და ნების ნაკლებობა, დაიცვან შრომის ძირითადი სტანდარტები, ისევე როგორც სუსტი სახელმწიფო ზედამხედველობა და შრომითი უფლებების აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობა კრიტიკულ სისტემურ ჩავარდნებს ასაზრდოებს, რომელთა

გამოსწორებისათვის სახელმწიფო არ ზრუნავს. ამის დასტურია ისიც, რომ წლის განმავლობაში დასაქმების არაერთ სფეროში ვიხილეთ მშრომელების მხრიდან ორგანიზებული მასობრივი პროტესტები, მათ შორის, სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, მძიმე ინდუსტრიებში, სამედიცინო სექტორში, განათლების სფეროსა და მიტანის სერვისებში დასაქმებული პირების მხრიდან. 2023 წლის კიდევ ერთ პრობლემურ ტენდენციას, წინა წლების მსგავსად, წარმოადგენდა განსხვავებული აზრისა და კრიტიკული შეხედულებების გამო დასაქმებული პირების დევნა და სამსახურიდან გათავისუფლება.

სათანადო საცხოვრებლის უფლება და უსახლკარობასთან ბრძოლა არც წელს იყო საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული. მიმდინარე წელს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა წარმოადგენდა. თუმცა, მთავრობას არათუ არ უზრუნია უსახლკარობის მასშტაბის, ფორმებისა და გამომწვევი მიზეზების შესწავლისთვის, არამედ სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით მინიმალური ვალდებულებებიც კი არ ასახა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში. ასევე იგნორირებული იყო შშმ პირთა უფლებები და მათი გამოწვევები. სახელმწიფოს ამ დრომდე არ შეუმუშავებია უფლებებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებს გაითვალისწინებდა და უზრუნველყოფდა თემის წევრების ღირსების, ავტონომიისა და არჩევანის თავისუფლების დაცვას.

2023 წელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებით. შოვში და გურიაში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს 40-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ დრომდე პასუხგაუცემელი რჩება არაერთი შეკითხვა ამ პროცესში სახელმწიფოს როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, მათ შორის, რატომ არ იყო დანერგილი მეწყრულად სახიფათო ზონაში ადრეული გაფრთხილების სისტემები, რამდენად ადეკვატური იყო სახელმწიფოს რეაგირება, განსაკუთრებით სტიქიის პირველ საათებში და შეიძლებოდა თუ არა ამხელა მსხვერპლის თავიდან არიდება. 2023 წელსაც, ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებას, მოსახლეობის მონაწილეობის და მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ადგილობრივი თემის უგულებელყოფით, კერძო ინვესტორისთვის ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის 40 წლით გადაცემას, მარტვილის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების პროტესტი მოჰყვა, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. არადემოკრატიული და უკანონო გადაწყვეტილების კიდევ ერთი მაგალითი იყო რაჭის ტყეების რუსეთთან დაკავშირებული ოლიგარქისთვის 49 წლით გადაცემა, რასაც რაჭის მოსახლეობის და მოძრაობა „რიონის ხეობის მცველების“ განგრძობითი პროტესტი მოჰყვა.

1. დემოკრატიის უკუსვლა და ევროინტეგრაციის პროცესი

2023 წელი გამორჩეულად მძიმე აღმოჩნდა დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტში დაინიცირებულმა "უცხოური გავლენების შესახებ" კანონპროექტმა ნათლად გამოაჩინა ხელისუფლების ნება მაქსიმალურად შეზღუდოს ქვეყანაში კრიტიკული აზრი. ამ გზით "ქართული ოცნება" ცდილობდა დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციების მარგინალიზებასა და მათ მტრებად და "უცხოებად" მონიშვნას. უპრეცედენტო საერთაშორისო კრიტიკა და ადგილობრივი ორგანიზაციების პროტესტი არ აღმოჩნდა საკმარისი აღნიშნული კანონპროექტის გასაწვევად. ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ დაიხია უკან, რაც პარლამენტის წინ რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციები მოეწყო და პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის ფიზიკურმა დაპირისპირებამ არსებითი საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ნიშანდობლივია, რომ ამ მოვლენების შემდეგ, სამართლებრივი დევნა დაიწყო აქციის მონაწილეების მიმართ, თუმცა ამ დრომდე იგნორირებულია ის გარემოება, რომ თავდაპირველად სწორედ პოლიციამ გამოიყენა უკანონო და არაპროპორციული ძალა მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ, რასაც მოგვიანებით მოჰყვა დაპირისპირება აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის.

2023 წელი აგრეთვე გამორჩეული იყო ხელისუფლების ჭარბი აგრესიული რიტორიკით სამოქალაქო ორგანიზაციების თუ კრიტიკული მედიის მიმართ. "უცხოური გავლენების შესახებ" კანონპროექტის გაწვევის მიუხედავად, აქტიურად გაგრძელდა თავდასხმები სამოქალაქო ორგანიზაციებზე და ორგანიზებული ფორმა მიიღო ცალკეული აქტივისტებისა და უფლებადამცველების გაშავების თუ შეურაცხყოფის კამპანიამ. მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის თვეში პარლამენტსა და სამოქალაქო ორგანიზაციების გაერთიანებას - საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის - თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, არსებითად არ შეცვლილა ხელისუფლების დამოკიდებულება კრიტიკული სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ. შესაბამისად, კვლავაც კრიტიკულ გამოწვევად რჩება ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული აზრის მიღება და დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტორების პატივისცემა.

დემოკრატიული უკუსვლის მანიშნებელია გაუარესებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა. საკანონმდებლო ორგანოში ხშირი იყო ოპოზიციური პარტიების მიერ ინიცირებული კანონპროექტების განუხილველად დატოვება, ხოლო მეორე მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებული პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა იმგვარად, რომ დაინტერესებულ პირებს, სამოქალაქო თუ პროფესიულ ჯგუფებს არ ჰქონდათ მის განხილვებში ადეკვატური ჩართულობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სექტემბერში პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტის შენობაში უსაფრთხოების დაცვის ახალი წესი დაამტკიცა. მიღებული რეგულაციით, ვიზიტორს ეკრძალება პარლამენტის სასახლეში ტრანსპარანტის გამოფენა და საინფორმაციო მასალის დარიგება, აგრეთვე სადემონსტრაციოდ

განკუთვნილი მასალის (პლაკატის, ბანერის, წარწერისა და სხვა) გაკვრა, ან სხვაგვარად განთავსება. უსაფრთხოების ახალი წესი არაპროპორციულად ზღუდავს პარლამენტის ვიზიტორების გამოხატვის თავისუფლებას და აბრკოლებს მოქალაქეთა ჩართულობას საპარლამენტო საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ არსებითად არის გაუარესებული უწყებების მიერ საჯარო ინფორმაციის და სტატისტიკური მონაცემების წარმოების პრაქტიკა. საჯარო უწყებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უზრუნველყოფდნენ გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდებას კანონით დადგენილ ვადებში. უწყებების დახურულობა და მათ საქმიანობაზე ინფორმაციის მოუწოდებლობა არსებითად შეუძლებელს ხდის დემოკრატიულ საზოგადოებრივ კონტროლს და მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მიმართ ნდობას.

2. მართლმსაჯულების ფრაგმენტული რეფორმები და ნდობის კრიზისი

მიმდინარე წელსაც გაგრძელდა მართლმსაჯულების ფრაგმენტული რეფორმები, რა დროსაც უგულებელყოფილი იყო სასამართლოში არსებული ფუნდამენტური პრობლემები. ევროკომისიის რეკომენდაციებიც, რომელიც სახელმწიფოს მოუწოდებდა მართლმსაჯულების, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმისკენ, სათანადოდ არ შესრულდა. სისტემური რეფორმის თაობაზე პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, ბუნებრივად სულ უფრო მკაცრი და მკაფიო ხდებოდა საერთაშორისო შეფასებები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასა და 2023 წელს მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე.

სასამართლოში არსებული პრობლემების სიმწვავეზე მიუთითებს მიმდინარე წლის აპრილში, 3 მოქმედი და 1 ყოფილი მოსამართლის სანქცირება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური სანქციები დაუწესდა მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ვალერიან ცერცვაძესა და ირაკლი შენგელიას. აშშ-ის საელჩოს განმარტებით, ამ გადაწყვეტილებას მოსამართლეთა სავარაუდო კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ სანდო ინფორმაცია დაედო საფუძვლად.

სასამართლო სისტემის გაჯანსაღების მორიგი გაშვებული შესაძლებლობა იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება სასამართლოს გავლენიანი ჯგუფისადმი და ხელისუფლებისადმი ლოიალური კადრებით. კერძოდ, მიმდინარე წელს პარლამენტმა ხუთი არა მოსამართლე წევრი დანიშნა საბჭოში, რომელთაგან ვერც ერთმა აჩვენა კრიტიკულობა და ობიექტური დამოკიდებულება სასამართლოში არსებულ ვითარებაზე.

სასამართლო სისტემაში არაფორმალური გავლენების და კორპორატივიზმის პრობლემაზე მიუთითებს დამოუკიდებელი ინსპექტორის ჩანაცვლებაც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალური შოთა ქადაგიძით, რომელიც მანამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო. დამოუკიდებელი ინსპექტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსამართლეთა დისციპლინირების პროცესში. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ამ პოზიციაზე არჩეული ადამიანი სარგებლობდეს მაღალი პროფესიული რეპუტაციით და იყოს თავისუფალი როგორც გარე, ისე სასამართლოს შიგნით არსებული გავლენებისგან.

სასამართლოში არაფორმალურ გავლენებსა და მოსამართლეთა პრივილეგირებული თუ არაპრივილეგირებული ჯგუფების ჩამოყალიბებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობს მოსამართლეთა დატვირთულობისა და შრომის ანაზღაურების უსამართლო წესებიც. დღემდე, სისტემაში არიან პრივილეგირებული მოსამართლეები, რომლებიც ფაქტობრივად საერთოდ არ განიხილავენ, ან თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობით იხილავენ საქმეებს. მეორე მხრივ, შრომის ანაზღაურების საბოლოო ოდენობა დიდწილად მინდობილია იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, რაც ზრდის მოსამართლეთა დამოკიდებულებას/ლოიალობას საბჭოსადმი და საბჭოს მიერ ამ სახელფასო დანამატების არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკებს ქმნის.

სასამართლო სისტემაში კრიტიკული, განსხვავებული აზრის ჩახშობის სამწუხარო მაგალითია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1-ლი ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ, მოსამართლე - ნინო გიორგაძე თანამდებობაზე უვადოდ არ დანიშნა. ამ გადაწყვეტილებით საბჭომ გადაუხვია გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის არსებული პრაქტიკიდან, რაც სავარაუდოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ნინო გიორგაძე პრობლემურ საკანონმდებლო ცვლილებებზე საჯაროდ აჟღერებდა კრიტიკას.

პოლიტიზირებული მართლმსაჯულების კონტექსტში, აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო არაეფექტიანი ხდება კრიტიკულ საქმეებზე, რაც გამოიხატება სამოქალაქო ორგანიზაციების თუ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სარჩელების განუხილველობით, ან მაღალი პოლიტიკური ინტერესის მქონე საქმეებზე იმგვარ გადაწყვეტილებებით, რომლებიც ვერ პასუხობს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში დადგენილ პრაქტიკასა და უფლების დაცვის სტანდარტებს.

3. **დახურული უსაფრთხოების სექტორი და სუს-ის ინსტრუმენტალიზება**

სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის არგუმენტით, 2023 წელსაც გრძელდებოდა ადამიანის ძირითად უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა.მთავარ გამოწვევად უსაფრთხოების სექტორში კვლავ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურისა (სუს) და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ფართო მანდატი, მათი პოლიტიზირება, ანგარიშვალდებულების ნაკლოვანი სისტემა და კონტროლის მექანიზმების არაეფექტიანობა რჩება. კვლავაც პრობლემურია, რომ სექტორში შემავალი უწყებების, განსაკუთრებით კი კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების, საქმიანობა სრულად გასაიდუმლოებულია, დაბალია ანგარიშვალდებულების ხარისხი და არაეფექტიანია როგორც სასამართლო, ასევე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები. დღემდე არასრულია საპარლამენტო ნდობის ჯგუფის შემადგენლობა, ხოლო საკომიტეტო და სასესიო მოსმენები სრულად დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც საზოგადოებას სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. გაუარესებულია უსაფრთხოების სექტორში საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხი. უწყებები ინარჩუნებენ არაერთგვაროვან პრაქტიკას და ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც საჯარო კატეგორიას განეკუთვნება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ასაიდუმლოებენ.

სუს-ის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების მაგალითი იყო საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის საქმეც. 2023 წლის 14 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა (სახ. დეპი) რუსეთის „ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის“ (ე.წ. „ეფესბეს“) ოფიცერი და ქართველ-რუსი ოლიგარქი დაასანქცირა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ფარცხალაძემ „ეფესბეს“ ოფიცრის დახმარებით, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და ის გავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე რუსეთის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ სუს-მა ფაქტზე გამოძიება დაიწყო, დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელსაც ფარცხალაძეს სამართალდამცავები ედავებოდნენ, ცნობილი მხოლოდ რამდენიმე თვის, სუს-ის უფროსის პარლამენტში მისვლის, შემდეგ გახდა. მისი ცნობით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს. მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და არსებული საჯარო ინტერესისა, დღემდე, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფარცხალაძე სუს-ში გამოიკითხა. მოვლენათა ქრონოლოგიამ კი ცხადყო, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა კოორდინირებულად იმუშავეს, რათა ყოფილ მთავარ პროკურორს სანქციებისთვის თავი აერიდებინა.

მიუხედავად უსაფრთხოების მსგავსი გამოწვევებისა, ჯერ კიდევ 2022 წლის ანგარიშში, სუს-ი ვერ აკონკრეტებდა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების წარმომავლობას და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მიმდინარეობდა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საგანმანათლებლო და სხვა დამოუკიდებელი აქტორების ოპერატიული კონტროლი.

აღნიშნულის გამოხატულებაა 2023 წლის 18 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგანგებო განცხადება, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში "დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის" მოწყობა იგეგმებოდა და "რევოლუციური სცენარის" ორგანიზებაში სამოქალაქო ორგანიზაცია "კანვასი" მონაწილეობდა. პირველი განცხადებიდან მალევე, სუს-მა ფარული ვიდეოჩანაწერები გაავრცელა, რომელიც რეალურად არაძალადობრივი წინააღმდეგობის ფორმების შესახებ საგანმანათლებლო მოხსენებას ასახავდა, თუმცა სუს-მა ის "კანვასის" მიერ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესის მომზადებად დაახასიათა. ამ განცხადების გავრცელების შემდეგ, კვირების განმავლობაში, სუს-ი ლექციების დამსწრეებსა და ორგანიზატორებს პერიოდულად გამოკითხვებზე იბარებდა, რაც აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების, კულტურისა და ხელოვნების სფეროების წარმომადგენლების დაშინებას ემსახურებოდა. შესაბამისად, კვლავაც გრძელდება სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების არგუმენტით სუს-ის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების, მოქალაქეების ფარული, უკანონო თვალთვალის, დაშინებისა და ტოტალური კონტროლის ტენდენციები.

4. პოლიტიზირებული სამართალდამცავი სისტემა და უმოქმედობა მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად

2023 წელს, წინა წლების მსგავსად, კვლავაც აქტუალური იყო მშვიდობიანი დემონსტრაციების დროს საპოლიციო ძალის დისპროპორციული და დაუსაბუთებელი გამოყენების პრაქტიკა. 7-8 მარტს, ე.წ. რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციაზე, არსებითად მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები გამოიყენეს. პოლიცია ცრემლსადენ გაზსა და წყლის ჭავლს იყენებდა ინტენსიურად, დიდი რაოდენობით და ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, რაც "პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნებს უხეშად ეწინააღმდეგება. სპეციალური საშუალებების ინტენსიურ გამოყენებას, გარდა არაპროპორციული ბუნებისა, მშვიდობიანი მოქალაქეების დაშინებისა და დასჯის ეფექტი ჰქონდა. მარტის აქციებზე პოლიციამ ათეულობით დემონსტრანტი დააკავა და ზოგიერთი მათგანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით პრობლემურია ლაზარე გრიგორიადისის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა - რომლის მიმართაც ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატიურად აკეთებდნენ არაეთიკურ და პირადი ცხოვრების უფლების შემლახავ განცახდებებს და ამ გზით ახდენდნენ მიმდინარე სასამართლო განხილვების კიდევ უფრო მეტად პოლიტიზირებას.

გარდა მარტის საპროტესტო აქციებისა, მიმდინარე წელს მასობრივი ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკამ კიდევ რამდენიმე აქციის ფარგლებში (*აქცია რუსეთთან პირდაპირი ფრენების აკრძალვის მოთხოვნით - მაისში; უფლებადამცველების საპროტესტო ცარიელი ფურცლებით - ივნისში; საზოგადოებრივი პროტესტი ბათუმში რუსული საკრუიზო გემის შემოსვლასთან დაკავშირებით - აგვისტოში, რაჭის ტყეების დაცვის აქციები - ნოემბერში და სხვ.*) იჩინა თავი. ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში პროტესტის გამოხატვის ხელშესაშლელად პოლიციამ ფიზიკურ დაბრკოლებებთან ერთად, აქციის მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავების პრაქტიკაც გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ პოლიციის მიერ აქციებში მონაწილე პირთა ადმინისტრაციული დაკავება, უმრავლეს შემთხვევაში, არ ემსახურებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ან სამართალდარღვევის აღკვეთის მიზანს, არამედ, წარმოადგენდა პროტესტის ხელშეშლისა და მასში მონაწილე პირებზე წნეხის განხორციელების მცდელობას. გარდა ამისა, საგანგაშოა ადმინისტრაციული სანქციების, განსაკუთრებით ჯარიმის გამოყენების მზარდი პრაქტიკა შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილე პირთა მიმართ, რაც არსებითად აუარესებს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებულ მდგომარეობას.

ამის პარალელურად, აშკარა იყო სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა მიმდინარე წლის ივლისში, „თბილისი პრაიდის" დახურული ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, რაც სათანადო პოლიტიკური ნების არქონით აიხსნება და არა საფრთხეების არასათანადოდ შეფასებით ან მოუმზადებლობით. საგულისხმოა, რომ ღონისძიების გამართვამდე შსს-სთვის ცნობილი იყო იმავე ადგილზე რადიკალური ჯგუფების მიერ დაგეგმილი კონტრაქციის შესახებ, რომლის მიზანიც „თბილისი პრაიდის" ღონისძიების ჩაშლა იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შეკრების ადგილზე არაგონივრულად მცირე რაოდენობის საპოლიციო ძალების გამოყვანითა და უშუალოდ ინციდენტების აღკვეთის პროცესში არაეფექტიანი მოქმედებით, ვერ უზრუნველყო „თბილისი პრაიდის" მიერ დაგეგმილი ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარება, რის გამოც აქციის მონაწილეებს შეკრების ტერიტორიის დატოვება მოუხდათ. 2021 წლის 5-6 ივლისის მძიმე გამოცდილების ფონზე, სამართალდამცავების მიერ შეკრების ადგილის არასათანადოდ დაცვა აძლიერებს ვარაუდს, რომ მათ განზრახ თქვეს უარი მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე წლის ოქტომბერში პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც დროებითი კონსტრუქციის (კარვის, სცენის და ა. შ.) მოწყობას დაუსაბუთებლად ზღუდავს. განსახილველი კანონპროექტი არ შეესაბამებოდა გამოხატვის თავისუფლების ევროპულ სტანდარტებს, რაზეც ყურადღება გამახვილებულია ეუთო/ოდირის დასკვნაში. მართალია, პრეზიდენტმა ვეტო დაადო მიღებულ კანონს, თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობას ნებისმიერ დროს შეუძლია პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, რაც ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტებს არსებითად გააუარესებს.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა საჯარო მოხელეებზე ზეწოლისა და უწყებებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გოგა რაზმაძე, რომელიც ხელმძღვანელობის მხრიდან ცენზურაზე, დისკრიმინაციასა და ახსნა-განმარტების მიცემის იძულების ფაქტებზე საუბრობდა, 2023 წლის ნოემბერში სამსახურიდან გაათავისუფლეს. თვალშისაცემი იყო უწყებების კოორდინირებული მუშაობა სისტემის შიგნით კრიტიკული აზრის ჩახშობის ხელშეწყობისთვის. სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე გამოძიება არ დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, სახალხო დამცველმა კი საქმის წარმოება შეწყვიტა და არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ, გოგა რაზმაძის საჩივრის განხილვა იმ სტრუქტურულ ერთეულს დაევალა (შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია) რომლის უფროსის მოადგილესაც თავად რაზმაძე ფსიქოლოგიურ ზეწოლაში, შეურაცხყოფასა და არასათანადო მოპყრობაში ადანაშაულებდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სამართალდამცავ ორგანოებში ინსტიტუციური რეფორმის გატარების აუცილებლობას.

არაჯეროვანი გამოძიება აწარმოა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანია ,,ფორმულას" ერთ-ერთ დამფუძნებლის მიშა მშვილდაძის მიმართ 2023 წლის 27 ივნისს განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. თავდასხმის შემდეგ ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტებმა ინციდენტის ამსახველი ვიდეო მტკიცებულება მოიპოვეს, რამაც დანაშაულის ადგილზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების ყოფნა გამოავლინა. აღნიშნული დასაბუთებულ ვარაუდს აღძრავდა თავდასხმაში მათ პოტენციურ მონაწილეობაზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაადასტურა, რომ გიორგი მუმლაძე, რომელიც მშვილდაძეზე თავდასხმის ამსახველ ვიდეოში ჩანს, მათი თანამშრომელია. ამის მიუხედავად, საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) მხოლოდ ერთ პირს წარედგინა და თავდასხმაში სახელმწიფოს წარმომადგენლის მონაწილეობა ვერ გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულისა და საზოგადოების კითხვების გაქარწყლება ინციდენტში უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მონაწილეობის შესახებ.

გოგა რაზმაძისა და მიშა მშვილდაძის საქმეები ამძაფრებს კითხვებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის შესახებ. სამართალდამცავი სისტემის პოლიტიზება რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რაც არსებითად აზიანებს გამოძიების პროცესს, ამასთან, უარყოფითად აისახება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე.

5. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 2023 წელს

2023 წელი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის კვლავ უსაფრთხოების და უფლებრივ მძიმე გამოწვევებთან იყო დაკავშირებული. საოკუპაციო ხაზთან რუსი ჯარისკაცების მიერ თამაზ გინტურის შემზარავი მკვლელობის საქმემ, ისევე როგორც ამ ადგილებში დაკავებების ტენდენციამ, კიდევ ერთხელ აჩვენა, ოკუპაციიდან მომდინარე ზიანი და დაუცველობა.

უკრაინის ომის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ახალი ტენდენციევი გაჩნდა. რუსეთთან ურთიერთობების დათმობამ (რბილი რიტორიკა, ფრენების აღდგენა, უვიზო მიმოსვლა, რუსეთთან ვაჭრობის გაძლიერება, მზარდი მიგრაცია რუსეთიდან და ა.შ.), უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ გაკეთებულმა ნეგატიურმა განცხადებებმა, ჩინეთთან სტრატეგიულმა თანამშრომლობამ და მზარდმა ანტიდავლურმა რიტორიკამ, საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი „კონცეპტუალური ბუნდოვანობა“ შექმნა. იმ ფონზე, როდესაც რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტი გაღრმავდა, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ნორმატიული პოლიტიკიდან პრაგმატული პოლიტიკისკენ შებრუნებამ მის გრძლევადიან მიზანშეწონილობაზე სერიოზული კითხვის ნიშნები გააჩინა. ევროკავშირთან დაახლოების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან (CFSP) საქართველოს შესაბამისობა არსებითად დაბალია (43%), განსხვავებით მოლდოვისა (78 %) და უკრაინისგან (89 %).

რეგიონალურ კონტექსტში დრამატული ცვლილებების მიუხედავად (უკრაინის ომი, ყარაბაღის მეორე ომი და შემდგომი განვითარება), რომელმაც კონფლიქტის რეგიონებში ანექსიური პოლიტიკის ფორსირების პარალელურად, აფხაზურ საზოგადოებაში მომავლის შიშები და უკმაყოფილებები გააჩინა, კონფლიქტების ტრანსფორმაციის და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით ხელისუფლებას ახალი მიდგომები არ დაუნერგავს. მთავრობას არ განუახლებია მუშაობა ერთის მხრივ დეოკუპაციის და მეორეს მხრივ, სამშვიდობო პოლიტიკის ახალ სტრატეგიულ დოკუმენტებზე. არ ჩანს რაიმე სიახლეები არც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დინამიკაში. გალის მიმართულებით ისევ არ აღდგა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) მექანიზმი.

ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ ხელისუფლება თითქმის 40% შემთხვევებში არ აკმაყოფილებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონიდან მომართვებს საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით. მაშინ როცა ეს მექანიზმი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში და განსაკუთრების უკრაინის ომის ფონზე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემდეგ ამ რეგიონების მაღალი იზოლაციის პირობებში, მათთვის ახალი ალტერნატივების ძიების გზაც. ნეიტრალური პირადობის დოკუმენტები ამ რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის არ

უკავშირდება მთელ რიგ სოციალურ ბენეფიტებს და შეღავათებს, რაც 2023 წელს აფხაზეთიდან შშმ პირის პენსიის საქმეზე სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და სახელმწიფოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე ზრუნვის და სოციალური დაცვის პოზიტიური ვალდებულება დააკისრა.

სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულება გალის და ახალგორის მოსახლეობასთან მიმართებაში ასევე პრობლემურია, რადგან აქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები კვლავ მძიმე გამოწვევების პირისპირ არიან, მათ შორის ესაა ხარისხიან და დროულ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და განათლების უფლება მშობლიურ ენაზე, რომელიც 2022 წლიდან სრულად შეიზღუდა.

ამ პოლიტიკურ ფონზე, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა კვლავ უსაფრთხოების მძიმე რისკების წინაშე იყო. 2023 წელს გრძელდებოდა დაკავებების და ბორდერიზაციის პროცესი, მათ შორის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სოფელ ჭვრინისში მევლუდ ხარაზიშვილის და მისი მეუღლის გატაცების მცდელობის ფაქტი, რა დროსაც საქართველოს მოქალაქე რუსმა „მესაზღვრეებმა“ გაკოჭეს და იარაღის კონდახით მძიმე დაზიანებები მიაყენეს, ასევე გაისროლეს მათი მიმართულებით. 2023 წლის ნოემბერში კი სოფელ კირბალში რუსმა „მესაზღვრეებმა“ საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს, და მასთან ერთად მყოფი ლევან დოთიაშვილი უკანონოდ დააკავეს. უფლებების დარღვევის ეს უმძიმესი შემთხვევები იმ თითქმის 10 წლიანი პრაქტიკის გაგრძელებაა, რომელიც ბორდერიზაციის, უკანონო დაკავევების, მკვლელობების და უფლების დარღვევის სხვა ასეულობით საქმეს მოიცავს. 2016 წლიდან 2022 წლის ჩათვლით ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 624 ადამიანი დააკავეს, ხოლოდ აფხაზეთის მიმართულებით 337. ადრეული გაფრთხილების სისტემის არარსებობა, გამყოფ ხაზთან მაფრთხიელებელი ნიშნების სიმცირე, სათვალთვალო კამერების არარსებობა, პატრულის არასაკმარისი მუშაობა გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურობას მუდმივი საფრთხის ქვეშ აგდებს. ცხინვალის მიმართულებით სოფლების 63%-ში არ არის პოლიციის შენობა, და 39% არ ხდება რეგულარული პატრულირებს.

კვლავ პატიმრობაში რჩება 2020 წელს უკანონოდ დაპატიმრებული ირაკლი ბებუა, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა აფხაზეთის დე ფაქტო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სერიოზული რისკების ქვეშაა. ასევე პატიმრობაში რჩებიან უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქე ქალები ქრისტინე თალაკანძე და ასმათ თავაძე.

6. რელიგიის თავისუფლების და რელიგიური თანასწორობის მდგომარეობა

სამწუხაროდ, 2023 წელს გაგრძელდა საკანონმდებლო დონეზე რელიგიური დისკრიმინაციის ნორმალიზების ტენდენცია. 2020 წელს ტყის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რომლითაც ექსლუზიურად საპატრიარქოსთვის დიდი რაოდენობით ტყის მასივის საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებდა, ხელისუფლებამ ახლად მიღებულ თავდაცვის კოდექსში სხვა რელიგიური ორგანიზაციების სასულიერო პირების გაწვევის განსხვავებული და გაუარესებული წესი დაადგინა. ახალი თავდაცვის კოდექსით, სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების წინაპირობად მღვდელთმსახურებისა და სასულიერო სასწავლებელში სწავლის მიზეზი აღარ იქნა გათვალისწინებული და მათ შესაბამისად, მოუწევთ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამ ვალდებულებისაგან სრულად თავისულდებიან და ახალი თავდაცვის კოდექსის ამოქმედებამდე არსებული მოწესრიგება, გადავადების მექანიზმით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობის ფაქტობრივ გათანასწორებას ახდენდა.

როგორც ჩანს ეს ტენდენცია მომავალ წლებშიც გაგრძელდება. საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ **3 წლიან ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაში** მითითებულია, რომ მომავალ წლებში საკანონმდებლო ცვლილება/დამატებები განხორციელდებდა რელიგიური ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი ნორმებსა და რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის წესში. გეგმაში ასევე მითითებულია, რომ დაინიცირდება სპეციალური კანონი "რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ." ამ ტიპის საკანონმდებლო ცვლილებებს დიდი ხანია ლობირებენ ცალკეული ჯგუფები და ამგვარი ინიციატივები, როგორც წესი მშენებლობისა და რელიგილური ორგანიზაციების რეგისტრაციის არსებული ლიბერალური მოწესრიგების გართულებისკენ, ასევე სპეციალური კანონით რელიგიური ორგანიზაციების განსაზღვრისა და მათ თავისუფლებაში ჩარევისკენ არის მიმართული. აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილებაში ცვლილების განხორციელება და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის სიმბოლური და ნაწილობრივი ანაზღაურება სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვისაც. იმ ფონზე როდესაც დაფინანსების ეს პრაქტიკა სინამდვილეში სუბსიდირების ფორმას ატარებს და ჩნდება განცდა, რომ მას ხელისუფლება რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისთვის უფრო იყენებს, ეს ინიციატივა რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის კიდევ უფრო გაზრდის იარაღი უფრო ჩანს.

რელიგიის საკითხებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საქმეებზე მიმდინარე გამოძიება კვლავ ხარვეზიანი იყო და მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მიმდინარე წელსაც პრობლემად რჩებოდა რელიგიური ორგანიზაციებისა და ლიდერების პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის უსაფრთხოების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიება. 2021 წლის 13-14

სექტემბერს გასაჯაროებული ე.წ. **სუს-ის კრებსების საქმეზე** მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არა ერთ სასულიერო პირს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა, თუმცა ამ დრომდე საქართველოს პროკურატურა არ უზრუნველყოფს დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. მიმდინარე გამოძიება აშკარად ხარვეზიანია, რადგან: 1. დაზარლებულად ცნობილ პირებს პროკურატურა არ გადაცემს სისხლის სამართლის საქმის მასალებს; 2. სუს-ის თანამშრომლების გამოკითხვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ისინი ხშირად სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელით გამოძიების ფუნდამენტურ კითხვებს პასუხს არ სცემდნენ; 3. მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები (მაგალითად, ტელეფონებისა და სამსახურეობრივი კომპიუტერების ჩხრეკა და ამოღება) დაგვიანებით ჩატარდა, როცა მტკიცებულებებზე გარეშე ზემოქმედება უკვე შესაძლებელი იყო. ამასთან გამოძიების ფარგლებში ამ დრომდე არ არის განსაზღვრული ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლის საფუძველზეც ხორციელდებოდა სასულიერო პირებისა და სხვა ადამიანების მასობრივი მოსმენა.

ამ წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ ასევე არ უზრუნველყვეს **ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის ყოფილ აღსაზრდელთა უფლების სისტემური დარღვევის ფაქტების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.** საქმეზე ამ დროისათვის ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და მედიაში არაერთი პანსიონატის ყოფილი აღსაზრდელის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია მძიმე დანაშაულზე მიუთითებს. აღსაზრდელების მიმართ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ფიზიკური დასჯის მეთოდებს, სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ ძალადობას და ეს ქმედებები ცალკეულ შემთხვევაში ინტენსივობით არასათანადო მოპყრობასაც კი უტოლდებოდა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა პანსიონატის არა ერთ ყოფილ ბენეფიციარს არ ანიჭებს დაზარალებულის სტატუსს, დროულად არ უზრუნველყოფს საქმეზე საპროცესო მოქმედებების ჩატარებას და განზრახ აჭიანურებს გამოძიებას.

სამწუხაროდ, მომავალ წელს დაფიქსირდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხებზე მკვეთრად ნეგატიური სამართლებრივი განმარტებები, რომელიც ამ მიმართულებით უფლებრივ სტანდარტებს აუარესებს. მიმდინარე წელს საგანგაშო იყო ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მანამდე ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის (პირველი ეტაპის) გაცემაზე მერიის უარი უკანონოდ და დისკრიმინაციულად მიიჩნია, სადავო გახდა და საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დააბრუნა. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, რადგან ბათუმის მერიას ,,საცხოვრებელ ზონა 6-ში" (ზონა, რომელშიც მდებარეობს ახალი მეჩეთის მიწის ნაკვეთი) მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობის ნებართვა არ გაუცია, არამედ ისინი უნებართვოდ არის აშენებული"

და შესაბამისად, ეს ორი ურთიერთობა შედარებად შემთხვევებს არ წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს სადავო ინტერპრეტაციას მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე და ამკვიდრებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ მანკიერ პრაქტიკას, რომელსაც იმედი გვაქვს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარებს და დაიცავს მის მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილების სულისკვეთებას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე არ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება მარნეულის ბიუჯეტის დისკრიმინაციული გადანაწილების საქმეზე და ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაციის საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. აღნიშნულ საქმეზე 2022 წლის პირველ ივლისს ბოლნისის სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ ბათილად სცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ის ნორმა, რომლის თანახმად რელიგიური საქმიანობის დაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (400 000 ლარი) სრულად გადაეცემოდა მხოლოდ მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას. თუმცა, 2022 წლის 8 დეკემბერს ბოლნისის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ 1 სხდომის ფარგლებში ჩატარებული განხილვით გააუქმა. საქმის განხილვის დროს მოსამართლის მხრიდან დაფიქსირდა პრობლემური განმარტებები და რეპლიკები მოსარჩელეების რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებაზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედოვნებდა, რომ უზენაესი სასამართლო გაიაზრებდა ამ საქმეზე პრეცედენტული გადაწყვეტილების მნიშვნელობას და თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით გააუქმებდა სააპელაციო სასამართლოს უკიდურესად პრობლემურ გადაწყვეტილებას, თუმცა უზენაესმა სასამართლომ საერთოდ უარი თქვა საქმის საკასაციო განხილვაზე. ბოლნისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ნინო გიორგაძე, რომელმაც ამ საქმეზე პროგრესული გადაწყვეტილება მიიღო, მომავალში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ არ განამწესეს, რასაც წინ უძღვოდა მის შესახებ გაკეთებული მკვეთრად ნეგატიური განცხადებები ადგილობრივი ეპოსკოპოსის მხრიდან.

რელიგიის თავისუფლების კუთხით 2023 წლის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიხედვით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება) და მე-9 მუხლების (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევა, მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში, რამდენადაც მიიჩნია, რომ პოლიციამ არ შეაჩერა კერძო პირების დისკრიმინაციული ქმედებები რელიგიური პანსიონატის წინააღმდეგ და ამასთან ერთად, რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული შევიწროების აქტზე, არ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება. ა. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლის საკუთრების უფლება) დარღვევა, პანსიონატის შენობით განგრძობადი სარგებლობის შეუძლებლობის გამო პანსიონატის ადმინისტრაციის მხრიდან. სოციალური

სამართლიანობის ცენტრი იმედოვნებს, რომ აღნიშნული საქმე სხვა მსგავს შემთხვევებში რელიგიური შეუწყნარებლობის პრევენციას შეუწყობს ხელს და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარების საფუძველი გახდება.

7. **არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა**

2023 წელსაც ხელისუფლებამ გააქტიურა ბილინგვური განათლების პროგრამების დანერგვის საკითხი და წარმოადგინა დაპირება, რომ შემდეგ წლებში ამ პროგრამებით პრაქტიკულად სრულად მოიცავს უმცირესობების ენებზე მოქმედი სკოლამდელი და სასკოლო განათლების დაწესებულებებს. აღნიშნული მიზანი მნიშვნელოვანია, თუმცა იმ პირობებში, როდესაც რეფორმის იდეა, სამოქმედო გეგმა არ არის გაწერილი და არც საკმარისი ადამიანური და სასწავლო რესურსები არსებობს ქვეყანაში, ჩნდება შიში, რომ ამბიციური რეფორმის ეს იდეა შეიძლება ნაკლოვანად წარიმართოს. მთავრობა და სხვა უწყებები ასევე გასცემდნენ დაპირებებს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საბავშვო ბაღების და სკოლების მშენებლობის შესახებ, თუმცა სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მონაცემები ამ ძალისხმევის მასშტაბის გაზომვის და პროგნოზირების შესაძლებლობას არ იძლევა.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს რამდენიმე უწყებამ დაიწყო უმცირესობების ენაზე სერვისების და საკომუნიკაციო არხების თარგმნა (მათ შორის, სოციალური ზრუნვის სააგენტო, საკანონმდებლო მაცნე, დმანისის მუნიციპალიტეტი). სოციალური სამართლიანობის ცენტრი ეთნიკური უმცირესობებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობისა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ამ მიდგომას დიდი ხანი ითხოვდა. თუმცა, ეს ცვლილება სამწუხაროდ არ არის სისტემური და სრულად არ მოიცავს ყველა სერვისების მიმწოდებელი და თვითმმართველი ორგანოების პოლიტიკას.

აღნიშნული საკითხების მიღმა, მიმდინარე წელს არ დაფიქსირებული მნიშვნელოვანი პოზიტიური დინამიკა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით. **მთავრობისა თუ პარლამენტის დონეზე ისევ არ არსებობს ეთნიკური უმცირესობებისთვის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო პლატფორმები,** სადაც თემის ლიდერები და აქტივისტები გადაწყვეტილებების მიმღები პირების წინაშე დააყენებდნენ მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომუნიკაცია სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან, არ შეიძლება ასეთად იყოს განხილული. მით უფრო, რომ ჩვენ წლებია ვითხოვთ მთავრობასთან და პარლამენტთან მაღალ დონეზე ასეთი ინკლუზიური და დემოკრატიული პლატფორმების

შექმნას, რომელიც ღიაა სხვებისთვისაც, ვინც ზემოთ ნახსენები საბჭოს წევრები შეიძლება არც იყვნენ.

ამავდროულად მოსალოდნელი არჩევნებისა და პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაციის გაურსების პირობებშიც არ დამდგარა სპეციალური მიდგომების და მექანიზმების (მაგალითად, პარტიების ფინანსური მხარდაჭერის მიდგომა, კვოტირება ან სხვა) შემუშავების საკითხი, **რომელიც პოლიტიკურ პარტიებსა და წარმომადგენლობით ორგანოებში უმცირესობების რეპრეზენტაციის გაზრდას შეუწყობდა ხელს.**

2023 წელს გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევის დოკუმენტი, რომელიც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წინაშე მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს წარმოაჩენს. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობების ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე 2.7-ჯერ, სრულ საშუალო განათლებაზე 2-ჯერ, უმაღლესი და ტექნიკური განათლება კი ასევე 2-ჯერ დაბალია. საშუალოზე დაბალი შემოსავალი საქართველოს მოსახლეობის 53%-ს აქვს, ხოლო ეთნიკურ უმცირესობებში ეს მაჩვენებელი 68%-ს უტოლდება. ეთნიკური უმცირესობების 21%-ის ძირითადი შემოსავალი მომდინარეობს სოფლის მეურნეობიდან, მთელს საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 7%-ია. თუმცა, სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ფერმერების დიდი ნაწილისთვის არსებითად ხელმიუწვდომელი რჩება. ამ ასიმეტრიის მიუხედავად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის არსებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები არ ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს (ბაღებისა და სკოლების, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული და დაჩქარებული განვითარება, თვითმმართველობის დონეზე, ასევე იუსტიციის, ფსიქო-სოციალური, ჯანდაცვის სერვისების მიწოდების პროცესში უმცირესობების ენაზე თარგმანის რესურსების მასობრივი დანერგვა და ა.შ.), რომელიც ამ ჯგუფების სოციალურ ინკლუზიას და თანასწორობას გაზრდიდა.

ეთნიკური უმცირესობების თემში შშმ პირების მდგომარეობა ორმაგად რთულია. საერთაშორისო სტანდარტების ცალსახა მოთხოვნებისა, სახელმწიფო შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს ეთნიკური კუთვნილების მიხედვით არ აწარმოებს. შშმ პირთა რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონში არაადეკვატურად დაბალია, თუმცა ქვეყანაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონშია. ეს მიუთითებს შშმ პირის სტატუსის მინიჭების მექანიზმებზე ქვემო ქართლის მოსახლეობის წვდომის პრობლემებზე. სერვისების მიწოდების პროცესში სერიოზული გამოწვევაა ისიც, რომ სახელმწიფოს არ ყავს უმცირესობების ენებზე მოსაუბრე პროფესიონალები. ამასთან, ქვემო ქართლის რეგიონში სერვისების მიმწოდებელი ადგილებისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების რაოდენობის შეფარდება მკვეთრად დისპროპორციულია და არსებული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს სხვა რეგიონებს. ქვემო ქართლის 7 მუნიციპალიტეტიდან 4-ში (გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის

მუნიციპალიტეტები) საერთოდ შეუძლებელია წვდომა ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებებზე.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2023 წელს ასევე ჩაატარა კვლევები მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებებზე. ყვრალისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკურად უდიების, ავარების და აზერბაიჯანელების (რომლებიც ოფიციალური სტატისტიკით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 30% წარმოადგენენ) საჭიროებები ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის ყურადღების მიღმა რჩება და ამ სოფლებში მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევები დგას. ამავდროულად, მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს მულტიკულტურული პოლიტიკა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და დიალოგს გააძლიერებდა. საინტერესოა, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებს ასევე აქვთ მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელსაც სათანადოდ არ ხედავს სახელმწიფო. აჭარაში აფხაზები ითხოვენ კულტურის ცენტრს, რომელიც ამ მცირერიცხოვანი თემის იდენტობის, ენის და კულტურის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. ეთნიკური ოსი მოსახლეობისთვის კი მნიშვნელოვანია სოფლებში მიწების უსამართლო გადანაწილებისა და უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ასევე, მათი კულტურის აღიარება და პატივისცემა, რასაც 90-იანი წლების ტრავმატული მეხსიერების ფონზე, ორმაგი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული თემის წარმომადგენლები ასევე სუსტად არიან ჩართულები სამშვიდობო პროცესში და ამ პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ დანახული არ არის.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 2023 წლის 19 იანვარს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლების) დარღვევა პროცედურულ ნაწილში და მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიება არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ჯეროვანობის საბაზისო პრინციპებს. სამწუხაროდ, ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქმის ხელახალ გამოძიებას, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულებისა და მაჩალიკაშვილების ოჯახის დარღვეული უფლებების აღდგენის ერთადერთი გზაა, სახელმწიფო ამ დრომდე უსაფუძვლოდ აჭიანურებს.

8. ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ხელისუფლების მხრიდან ლგბტ(ქ)ი უფლებების პოლიტიკური აღიარების სირთულე და პოლიტიკური ჰომოფობია, ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას შეუძლებელს ხდის. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მმართველი გუნდის რიტორიკა ღიად ჰომოფობიური შინაარსით გამოირჩეოდა. 2023 წლის მარტში „უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული მასობრივი პროტესტების მონაწილეთა მიმართ, ხელისუფლებამ ჰომოფობიური ლექსიკა არაერთხელ გამოიყენა. ქვეყნის მაღალჩინოსნების მხრიდან დემონსტრაციის მონაწილე ახალგაზრდების დემონიზების ფონზე, აქციის ერთ-ერთი მონაწილის - ლაზარე გროგორიადისის დაკავების შემდეგ, მის წინააღმდეგ სახელისუფლებო პროპაგანდა ღიად ამუშავდა. მმართველი პარტიის ლიდერმა ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოებას ბრალი დასდო ‘ლგბტ პროპაგანდასა’ და ეკლესიის რეპუტაციის შელახვაში. საგულისმოა, რომ ამ პერიოდში, პროსამთავრობო მედიები ანტილგბტ, ანტიდასავლური შინაარსის პროპაგანდისტული სიუჟეტების ტირეჟირებით გამოირჩეოდნენ. ამასთან, 2023 წლის მაისში, პრემიერი საერთაშორისო კონსერვატიულ კონფერენციაზე გამოვიდა, სადაც მისი წარმოთქმული სიტყვა მკაფიოდ ულტრაკონსერვატიულ, ანტიგენდერულ შინაარსს ატარებდა.

პოლიტიკური ჰომოფობიის ეს მძლავრი ტალღა ერთი მხრივ მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ლგბტ(ქ)ი ადამიანებისთვის, მათი ფიზიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით რეალურ რისკებს წარმოქმნის.

ხაზგასასმელია, რომ 2023 წლის მარტში მთავრობის მიერ დაგვიანებით მიღებული 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია არ მოიცავს სექსუალური უმცირესობების საკითხებს და ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებები დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები, ხოლო გენდერთან დაკავშირებულ საკითხებად, მხოლოდ ქალთა უფლებები მოიზრება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მარტში დისკრიმინაციული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის მიღების შემდეგ, 2023 წლის ოქტომბერში, მთავრობის მიერ ინიცირებული 2024-2026 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა,ლგბტქ თემის წევრებს გამორიცხავს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების და ევროკომისიის რეკომენდაციებთან.

აქვე ცალკე აღსანიშნია ანტი-ლგბტ საკანონმდებლო ინიციატივები. პროსამთავრობო პარტიამ - „ევროპელი სოციალისტები“ 2023 წლის მარტში საკანონმდებლო ინიციატივით, ე.წ. ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით უარი თქვეს კანონპროექტის მიღებაზე, თავდაპირველად „ქართული ოცნების“ ლიდერებმა მას მხარი დაუჭირეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის პროსამთავრობო პოლიტიკური პარტიის - „კონსერვატიული მოძრაობის“ და ტელეკომპანია „ალტ-ინფოს" მიერ წარდგენილი კანონპროექტთა პაკეტი პარლამენტში დარეგისტრირებულია.

კანონპროექტების მიხედვით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში დაგეგმილი შესწორებით, „სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა“ იკრძალება“.

ლგბტ(ქ)ი ადამიანებისთვის დღემდე მთავარი გამოწვევა ძალადობაა. სახელმწიფოს კვლავ არ აქვს შემუშავებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი პრევენციისა და რეაგირების ერთიანი სტრატეგია, რაც სამართალდამცავი, სოციალური, განათლების და პენიტენციალური სფეროებისა და უწყებების კოორდინირებულ მუშაობას უნდა გულისხმობდეს და სისტემურად უზრუნველყოფდეს ლგბტ(ქ)ი ადამიანების უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვას.

ძალადობის მსხვერპლებისთვის კრიტიკულად მწვავეა სათანადო ფსიქო-სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიღება. სახელმწიფოს კვლავ არ აქვს ძალადობის მსხვერპლების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის პოლიტიკა. კრიზისული ცენტრების ხანმოკლე სერვისი კი ვერ უზრუნველყოფს ლგბტ(ქ)ი ადამიანების გრძელვადიან უსაფრთხოებას და მხარდაჭერას. ხაზგასასმელია სერვისების მიღების დროს გამოვლენილი ინკლუზიურობის პრობლემა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლგბტ პირებისთვის თავშესაფარში მტრული გარემოა სხვა ბენეფიციარების მხრიდან. ამ მიზეზით, ლგბტქ ჯგუფის ბევრი წევრი თავად ამბობს უარს სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობაზე.

9. **ქალთა უფლებრივი მდგომარეობა**

2023 წელს სახელმწიფოს რეაგირება და პოლიტიკა ფემიციდის, იძულებითი ქორწინებისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრაქტიკაზე კვლავ არასაკმარისი, არაეფექტიანი და ორმაგად სუსტი იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ფემიციდის უმძიმეს ფაქტს ჰქონდა ადგილი 2023 წლის 6 ოქტომბერს, როდესაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში, 27 წლის მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთი გასროლით მოკლა 14 წლის აითაჯ შახმიროვა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აითაჯი 13 წლის ასაკში დანიშნეს და ნიშნობის შემდგომ ბრალდებულმა ქორწინების მიზნით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა, რის შემდგომაც 13 წლის აითაჯს ქორწინება აიძულეს. აითაჯის ნიშნობისა და ქორწინების შესახებ სავარაუდოდ ინფორმაცია ჰქონდა სკოლის, თუმცა ადმინისტრაციამ არ აამოქმედა რეფერირების პროცედურა და ნიშნობის/ქორწინების თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა შესაბამის უწყებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში სუსტია პოლიციის მუშაობა, რომელიც ადგილზე ნდობის შენებას რთულად ახერხებს. სოციალური ზრუნვის სამსახურებისა და შესაბამისი მხარდაჭერის ინტრუმენტები კი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის პოლიტიკაში ისედაც არასათანადოდ არის დანახული

და განვითარებული, ორმაგად სუსტი და არაეფექტიანია ეთნიკური უმცირესობების თემში მათი მუშაობის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამკაცრებულია ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკა, იძულებითი ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება. საქმეების დიდ ნაწილზე გამოძიება წყდება, ბრალდებულ პირებთან კი ფორმდება საპროცესო შეთანხმება. სისტემაში კრიტიკულად დაბალია პოლიციის, სოციალური დაცვისა და განათლების სისტემებში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერება ბავშვობის ასაკში ქორწინების გამოვლენის ინდიკატორების, პროცედურებისა და მათი ვალდებულებების შესახებ.

მიმდინარე წლის ზაფხულში ფემიციდის კიდევ ერთ მძიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ოკუპირებულ აფხაზეთში. გალში მკვიდრი 28 წლის ქალი - ნათია ბახტაძე, 28 ივლისს გაჩინარდა. აგვისტოში დე ფაქტო რესპუბლიკის პროკურატურამ დააკავა ეჭვმიტანილი აინარ წვიჟბა, რომელმაც აღიარა, რომ 28 ივლისს ნათია ბახტაძე ავტომობილში მოკლა, შემდეგ კი გვამი გადააგდო მდინარე ენგურზე მდებარე ვარდნილჰესი 3-თან. მოკლული ნათია ბახტაძის გვამის ძებნა უშედეგოდ გაგრძელდა. ძებნის პარალელურად კი გალის რაიონში გავრცელებული დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, კიდევ იპოვეს 2 ქალის გვამი - ერთი ილორის ტყეში, ხოლო მეორე - მდინარეში.

მიმდინარე წელს ასევე მწვავე პრობლემები გამოიკვეთა ქალთა რეპროდუქციული უფლებებისა და საჭიროებების უზრუნველყოფის კუთხით, **ჯანდაცვის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით. მიუხედავად** ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებისა, თითოეული ქალისთვის უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო სერვისზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც მათ ორსულობის, უსაფრთხო მშობიარობისა და ჯანმრთელი ბავშვის ყოლაში დაეხმარება, მთიან რეგიონში - მაღალმთიანი აჭარის, ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საჭირო სერვისებზე მისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც ამ სფეროში **არსებულ სისტემურ პრობლემაზე** მიუთითებს. **2023 წლის** ივლისის მდგომარეობით, ხულოში, სადაც 23 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, არ არსებობდა სამშობიარო განყოფილება და მუნიციპალიტეტს აღარ ჰყავდა არცერთი გინეკოლოგი.

რეპროდუქციული უფლებების გაუარესების კუთხით ასევე უნდა აღინიშნოს ჯანდაცვის მინისტრის 2023 წლის ოქტომბრის ბრძანება, რომელიც აბორტის წესის ცვლილებებს უკავშირდება. აღნიშნული ცვლილებები **2024 წლის იანვრიდან ქალებს, რომლებიც აბორტის გაკეთებას გადაწყვეტენ, დამატებით ბარიერებს შეუქმნის. კერძოდ კი** ქალები **ვალდებულნი იქნებიან ხუთდღიანი მოცდის პერიოდის შემდეგ, კონსულტაცია არა მხოლოდ ექიმ-გინეკოლოგთან გაიარონ, არამედ ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთანაც - „სპეციალურად**

ამ მიზნისათვის გამოყოფილ, ექიმის საკონსულტაციო ოთახში“. მნიშვნელოვანია, რომ ქალთა უფლებადამცველებისთვის და რეპროდუქციული ჯანრთელობის სპეციალისტებისთვის ამ ცვლილების შესახებ ცნობილი მხოლოდ ბრძანების გამოქვეყნების მერე [გახდა.](#) აღსანიშნავია, რომ ქალის რეპროდუქციული უფლებები დაცულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებით, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

მიმდინარე წელს ქალი პოლიტიკოსების მიმართ საჯარო სფეროში ხშირად იყო გამოყენებული გენდერული სიძულვილის [ენა.](#) ა.წ. ოქტომბერში ქართული ოცნების წევრების მხრიდან პარლამენტში ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსისტური ენის გამოყენების უმძიმეს [შემთხვევებს](#) ჰქონდა ადგილი, რაც, ისედაც ქალთა დაბალი პოლიტიკური წარმომადგენლობის გარემოში, მტრულ გარემოს ქმნის ქალი პოლიტიკოსებისთვის. სსექსისტური სიძულვინის ენის გამოყენება ხელს უწყობს ქალი პოლიტიკოსების ობიექტივიზირებას მედიასა და საჯარო დისკურსში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით „**საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება**“. სამწუხაროდ, საქართვლოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს ქმედითი მექანიზმებს დეპუტატების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში.

10. სათანადო საცხოვრებლის უფლება

სათანადო საცხოვრებლის უფლება და უსახლკარობასთან ბრძოლა არც 2023 წელს იყო საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული. მიუხედავად არაერთი რეკომენდაციისა, საცხოვრისის პოლიტიკა - საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული კანონმდებლობა, ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, არ შემუშავებულა, შესაბამისად, ჯერ კიდევ არ არსებობს ხედვა უსახლკარობასთან ბრძოლისა და საცხოვრისის გარანტირების მიმართულებით, რაც ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას წლიდან წლამდე უფრო ამწვავებს. სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ 2023 წელს მთავრობას არათუ არ უზრუნია უსახლკარობის მასშტაბის, ფორმებისა და გამომწვევი მიზეზების შესწავლისთვის, არამედ სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით მინიმალური ვალდებულებებიც კი არ ასახა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2022 – 2030).

მიმდინარე წელს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა წარმოადგენს. მიუხედავად ამგვარი მექანიზმის მნიშვნელობისა, სერვისის მიწოდების პროცესი კრიტიკას ვერ უძლებს და სერვისი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. ამ მხრივ, განსაკუთრებულად პრობლემურია გორის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური საცხოვრისი, სადაც 100-ზე მეტი უსახლკარო პირი ცხოვრობს და რომლის გარემოც უკიდურესად მძიმე, ღირსების შემლახველი და საფრთხის შემცველია - შენობა ავარიულია, საცხოვრისი დანესტიანებულია, მაცხოვრებლებს არ აქვთ წვდომა ინდივიდუალურ სველ წერტილებსა და თბილ წყალზე. უკიდურესად პრობლემურია გადატვირთულობა, არასათანადო გათბობა და ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის შენობის მიუწვდომლობა. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, გორის მუნიციპალიტეტს მაცხოვრებლების უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში გადაყვანის მიზნით რეაგირება არ ჰქონია.

მწვავეა მდგომარეობა ორხევის სოციალურ საცხოვრისშიც, რომელშიც 260-მდე უსახლკარო ადამიანია განთავსებული. წლების განმავლობაში, ორხევის სოციალური საცხოვრისის მაცხოვრებლებს არასათანადო პირობებში (მათ შორის, მუდმივი ხმაური, გადატვირთულობა, ნესტი) უწევთ ცხოვრება. სამგორის რაიონის გამგეობის მიერ დაკვეთილმა საექსპერტო დასკვნამ კი შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული გადაუდებელი საკითხები დააიდენტიფიცირა და მიუთითა, რომ საცხოვრისის ფუნქციონირება სპეციალური გამაგრებითი სამუშაოების გარეშე დაუშვებელია, ხოლო სამუშაოს ჩატარების დროს მოსახლეობა ევაკუირებული უნდა იყოს. არსებითია, რომ მაცხოვრებლების უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში განსახლების საკითხები მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ასახოს 2024 წლის ბიუჯეტში.

უსახლკარო პირებთან ერთად, საცხოვრისის საკითხი მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისთვისაც მწვავედ გამოიკვეთა. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი საცხოვრისის ფინანსური ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუარესება, მსხვილ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, უძრავი ქონების დაქირავების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდაა. განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე სტუდენტები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ცალკეული უმაღლესი დაწესებულებების მიერ გაცხადებული ინიციატივებისა, მოცემულ ჯგუფთან მიმართებით ერთიანი და ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ მომხდარა.

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე წელსაც აქტუალურ და მწვავე საკითხს საცხოვრისიდან გამოსახლება წარმოადგენდა. მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სხვადასხვა ოჯახის უკანასკნელი საცხოვრისიდან გამოსახლების გეგმის შესახებ. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ გამოსახლების მარეგულირებელი კანონმდებლობა უკიდურესად ხარვეზიანია და მინიმალურადაც კი ვერ უზრუნველყოფს

გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების/ოჯახების დაცვასა და მხარდაჭერას როგორც გამოსახლებამდე, ისე გამოსახლების დროსა და მის შემდგომ პერიოდებში.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. საპოლიციო გამოსახლება წლების წინ გაუქმდა და გამოსახლება სასამართლოს რგოლის მეშვეობით წარიმართება, ბოლო პერიოდში, იუსტიციის მინისტრის განცხადებები გამოსახლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ, ასევე, პარლამენტში ინიცირებული აღსრულების კოდექსის პროექტის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ გამოსახლება ცალკეულ შემთხვევებზე (მაგ., ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში) კვლავ სასამართლო რგოლის გარეშე წარიმართება, რაც გამორიცხავს შემთხვევებზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გააუარესებს უსახლკარობის საფრთხის წინაშე მყოფი ადამიანებისა და შინამეურნეობების უფლებრივ მდგომარეობას.

11. გარემოსდაცვითი უფლებები და გარემოსდამცველების მდგომარეობა

2023 წელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დამანგრეველი შედეგებით; შოვში და გურიაში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს 40-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ დრომდე პასუხგაუცემელი რჩება არაერთი შეკითხვა ამ პროცესში სახელმწიფოს როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, მათ შორის, რატომ არ იყო დანერგილი მეწყრულად სახიფათო ზონაში ადრეული გაფრთხილების სისტემები, რამდენად ადეკვატური იყო სახელმწიფოს რეაგირება, განსაკუთრებით სტიქიის პირველ საათებში და შეიძლებოდა თუ ამხელა მსხვერპლის თავიდან არიდება. ამასთან, პრობლემური იყო ისიც, რომ გამოძიების დაწყებისთანავე ხელისუფლების წარმომადგენლები პრაქტიკულად გამორიცხავდნენ დანაშაულის არსებობას, რაც გამოძიების დამოუკიდებლობის თაობაზე დამატებით შეკითხვებს აჩენდა. უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლები არ მორიდებიან არც სტიქიას გადარჩენილებზე თავდასხმას და მათი მონაყოლის ეჭვქვეშ დაყენებას. ამ საკითხზე დაწყებული გამოძიების პროცესიც ხარვეზებით წარიმართა. საგამოძიებო უწყებამ დაზარალებულ ოჯახს და მის ადვოკატს საქმის მასალების გადაცემაზე უარი განუცხადა და მხოლოდ უწყებაში გაცნობა შესთავაზა, რამაც მასალების მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე დაცვის უფლებით სათანადოდ განხორციელება მნიშვნელოვნად გაართულა.

გარდა ამისა, ხელისუფლება თავს ესხმოდა მედიას, რომელიც ინფორმაციას სტიქიის ადგილიდან ავრცელებდა, ისევე როგორც სხვა ფიგურებს, რომლებიც სტიქიაზე რეაგირების ზომების და ადრეული შეტყობინების სისტემის არარსებობის გამო, ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ. ხელისუფლების სამიზნეში აღმოჩნდა გამოცემა „მთის ამბები“, რომელიც შოვის მოვლენებს ადგილიდან სტიქიის პირველივე საათებიდან აშუქებდა. იმის გამო, რომ

გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ ემთხვეოდა ხელისუფლების მიერ გავრცელებულ მედია-ნარატივს, მისი რედაქტორის, გელა მთივლიშვილის მიმართ არაერთი აგრესიული, შეურაცხმყოფელი და მუქარისშემცველი განცხადება გაჟღერდა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან.

ხელისუფლების თავდასხმის ობიექტი, ასევე გახდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი თეა გოდოლაძე, რომელიც ღირსებისშემლახველი საინფორმაციო კამპანიის სამიზნე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სიუჟეტი, რომელშიც კერძო შინაარსის საქმეზე კომენტარს ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ და თეა გოდოლაძის პირად ცხოვრებას სრულიად უსაფუძვლოდ შოვის მეწყერთან დაკავშირებით მეცნიერის მიერ გაკეთებული საჯარო შეფასებების სანდოობას უკავშირებდნენ, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მედია სტანდარტების დარღვევად შეაფასა.

გარემოსდამცველების დისკრედიტაციის ტაქტიკას ხელისუფლება იყენებდა უფრო ადრე, ე.წ. „აგენტების“ კანონპროექტის დასაბუთების დროსაც, როდესაც კანონპროექტის საჭიროების ერთ-ერთ საფუძვლად რიონის ხეობის მცველების რუსულ კავშირებზე, ტრადიციულად, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე აპელირებდა.

გასულ წელსაც, ხელისუფლება აგრძელებდა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებას, მოსახლეობის მონაწილეობის და მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ადგილობრივი თემის უგულებელყოფით, კერძო ინვესტორისთვის ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის 40 წლით გადაცემას, მარტვილის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების პროტესტი მოჰყვა, რომელიც ამ დრომდე კარვებში გრძელდება.

ჯერ კიდევ 2022 წელს, რაჭის ტყეების რუსეთთან დაკავშირებული ოლიგარქისთვის 49 წლით გადაცემას, რაჭის მოსახლეობის და მოძრაობა „რიონის ხეობის მცველების“ განგრძობითი პროტესტი მოჰყვა, ჯერ ადგილობრივ დონეზე, ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, ხოლო მოგვიანებით, თბილისში გარემოს დაცვის სამინისტროსთან. სამინისტროსთან ეზოს გარეთ, საჯარო სივრცეში კარვის გაშლის მცდელობას სამართალდამცავების მხრიდან უკანონო ხელშეშლა მოჰყვა, ხოლო 11 დემონსტრანტი, ასევე, უკანონოდ დააკავეს.

მართალია, 28 ნოემბერს ლიცენზია გაუქმდა, თუმცა არა უკანონობის და ადგილობრივების უფლებების დარღვევის საფუძვლით, არამედ იმ მოტივით, რომ ინვესტორმა კომპანიამ ვალდებულებები არ შეასრულა, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლიცენზიის პრობლემურობა არც ერთ ეტაპზე არ უღიარებია.

12. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შშმ პირები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე უჩინარ და მოწყვლად წევრებად რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია 2014 წლიდან ძალაშია, სახელმწიფოს ამ დრომდე არ შეუმუშავებია უფლებებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებს გაითვალისწინებდა და უზრუნველყოფდა თემის წევრების ღირსების, ავტონომიისა და არჩევანის თავისუფლების დაცვას.

მიმდინარე წელს საქართველოში შშმ პირთა დაცვა საერთაშორისო მექანიზმების შესწავლის საგანი იყო. 2023 წლის აპრილში გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა დასკვნით რეკომენდაციებში ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეაფასა და არაერთ პრობლემურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა შშმ პირთა უფლებებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელიც, რომელიც უახლოეს თვეებში გამოაქვეყნებს სიღრმისეულ შეფასებას შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობა არაერთი მიმართულებითაა პრობლემური, თუმცა, განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება:

- სუსტი და მყიფე სოციალური პოლიტიკა, რაც შშმ თემის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს;
- ინსტიტუციონალიზაციის უმძიმესი პრაქტიკა, რის გამოც ფსიქიკური და ინტელექტუალური ნიშნით ასობით შშმ პირს საზოგადოებისგან იზოლირებულად, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფის პირობებში უწევს ცხოვრება;
- შეფასების, სტატუსის მინიჭებისა და თემის წევრთა მიმართ პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზზე დაყრდნობით;
- შშმ პირებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია;
- ქმედუნარიანობის რეფორმის არასათანადო განხორციელება, რის გამოც ათასობით შშმ პირს საკუთარ ცხოვრებაზე ფაქტობრივი კონტროლი დაკარგული აქვს;
- ენის პოლიტიკის გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შშმ პირების მიერ ცენტრალურ დონეზე არსებულ სერვისებსა და ინფორმაციაზე წვდომის მნიშვნელოვანი ბარიერები;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობის სისუსტე და უსისტემო ხასიათი.

2023 წლის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს შშმ პირთა სოციალური დაცვა წარმოადგენდა. სამწუხაროდ, არსებული სისტემა კვლავ უგულებელყოფს თემის წევრთა საჭიროებებს და არამდგრადი მხარდაჭერით უზრუნველყოფს მათ. განსაკუთრებით პრობლემურია მუნიციპალური სერვისები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ფრაგმენტული და მოკლევადიანია. შშმ პირები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგებიან ცალკეული სერვისების დისკრიმინაციული ბუნების, ასევე, შესაბამისი სერვისების არარსებობის/ნაკლებობის, მათი დაბალი ხარისხისა და მისაწვდომობის (მათ შორის, ფიზიკური, გეოგრაფიული, ინფორმაციული, ლინგვისტური) პრობლემების გამო.

ეფექტიანი პოლიტიკის არარსებობის პირობებში, 37 000-მდე შშმ პირი (2023 წლის ზაფხულის მონაცემებით) სოციალურ შემწეობას იღებს, მაშინ, როდესაც, სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიცირებისა და ქულის მინიჭების სისტემა, მისივე ხარვეზიანობის გამო, ვერ უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ყველა შშმ პირის იდენტიფიცირებასა და მინიმალური საარსებო შემწეობით დაფარვას.

მიმდინარე წელს შშმ პირთა სოციალური პაკეტის ადეკვატურობაც ერთ-ერთ მწვავე საკითხად იდგა. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლიდან შშმ პირთა სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული ფულადი გასაცემელის ყოველწლიური ზრდის ვალდებულება აისახა, სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა 65 %-მდე (82 000-ზე მეტი ადამიანი) კვლავ საარსებო მინიმუმზე ნაკლებ ფინანსურ მხარდაჭერას (135 ლარი - ზომიერად გამოხატული შშმ პირებისათვის და 175 ლარი - მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის) იღებს. აღნიშნული ოდენობა, შშმ პირების საჭიროებების, ასევე, დასაქმებისა და სხვა ტიპის შემოსავლების სიმწირის გათვალისწინებით, უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის რისკის ქვეშ აყენებს თემს.

სოციალური პაკეტით გათვალისწინებული გასაცემლის სიმწირესთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მექანიზმის მიღმა შშმ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა დარჩენილი. 2023 წლის ოქტომბრის მონაცემებით, 127 000-ზე მეტი შშმ პირი - ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3.4% იღებდა სოციალურ პაკეტს, მაშინ, როდესაც გლობალური მაჩვენებლების მიხედვით, შშმ პირთა წილი მოსახლეობაში 11-18 %-ს ფარგლებში უნდა მერყეობდეს. აღნიშნული რიცხვები მიანიშნებს იმაზე, რომ, სულ მცირე, შშმ პირთა 2/3 სოციალური პაკეტით დაფარული არ არის. სისტემის მიღმა, სხვადასხვა ჯგუფებთან ერთად, ის ხანდაზმული შშმ პირებიც რჩებიან, რომლებიც ასაკობრივ პენსიას იღებენ.

მიუხედავად არაერთ თემატურ სტრატეგიაში გაცხადებული ხედვებისა, 2023 წლის მანძილზე ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში ადამიანის უფლებების ინკორპორირება კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. მიმდინარე წელს მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა (2022-2030) და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, თუმცა, აღნიშნული

დოკუმენტების, ისევე, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის (2022-2030) შესრულება მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს.

მიუხედავად მწვავე საჭიროებისა, სტაციონარული ფსიქიატრიული სერვისის მიმღებთათვის ჯერ კიდევ არ არსებობს გარანტიები ძალადობისგან, ასევე, სამედიცინო ინტერვენციისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისგან დაცვის მიმართულებით. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ფსიქიკური სერვისის მომხმარებლებისათვის მისაწვდომი და კონფიდენციალური გასაჩივრების სისტემის არარსებობა.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან ერთად, მწვავედ დგას ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამების ფუნქციონირება. მიმდინარე წელს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების დაფინანსებაზე 49 მლნ. ლარზე მეტი გამოიყო, რომლის 48 %-ზე მეტი კვლავ სტაციონარულ მომსახურებაზეა გათვლილი, ხოლო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისს მთლიანი პროგრამული ბიუჯეტის მხოლოდ 0.27 % ეთმობა. საყურადღებოა, რომ სტაციონარული სერვისების პროვაიდერების უმეტესობა (10-დან 8 პროვაიდერი) მომსახურებას კვლავ დიდი ზომის ან/და სპეციალიზებული დაწესებულების ფორმით გასცემს, რაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს.

არაერთი გამოწვევის ფონზე, 2023 წელს ცალსახად მნიშვნელოვანი იყო აქონდროპლაზიის დიაგნოზის მართვის პროტოკოლის შემუშავება და ბავშვებისათვის მედიკამენტის დანერგვის პროცესის დაწყება. ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილება აქონდროპლაზიის მქონე ბავშვების მშობელთა უწყვეტი და შეუპოვარი პროტესტის შედეგად გახდა შესაძლებელი.

13. საარსებო შემწეობის სისტემა

ისევე, როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც საარსებო შემწეობის პროგრამა სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა. აღნიშნული სერვისი შესაბამისი ქულის მქონე (65 000 ქულა და ნაკლები - 16 წელს ზემოთ პირისთვის, 120 000 ქულა და ნაკლები 16 წლამდე ასაკის პირისთვის) ოჯახებისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ყოველთვიური ფულადი გასაცემელი 16 წელს ზემოთ პირებისთვის 30-60 ლარის ტოლია, ხოლო 16 წელს მიუღწეველი ბავშვებისთვის დახმარება 200 ლარია, რაც საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად ჩამორჩება და ადამიანების მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას შეუძლებელს ხდის.

სერვისში ჩართვის წინაპირობა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია და სოციალური აგენტის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაა. 2023 წელს, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა - მიმდინარე წლის მაჩვენებლები 2016 წლის შემდგომ ყველაზე მაღალია.

სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა პიკს სექტემბერში მიაღწია, როდესაც ბაზაში 1 200 719 ადამიანი იყო რეგისტრირებული, რაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედს (32.1 %) შეადგენს. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ყოველივე მესამე ადამიანი სახელმწიფოსგან საარსებო შემწეობას ითხოვს.

2023 წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზე იყო - მარტში შემწეობას 676 641 ადამიანი იღებდა. წლის განმავლობაში შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შედარებით შემცირდა - ოქტომბრის მონაცემებით, 627 000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 245 318 ბავშვი, იყო საარსებო შემწეობის მიმღები. ამასთან, 2023 წლის მაისის მონაცემებით, ქვეყნის 64 მუნიციპალიტეტიდან 32-ში საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 25 %-ს აღემატებოდა, ხოლო საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში (ქედის, ონის, ცაგერის, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტები) შემწეობის მიმღებთა წილმა მოსახლეობის ნახევარს გადააჭარბა.

საგანგაშოა არა მხოლოდ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის დიდი რაოდენობა, არამედ სისტემაში ამ ადამიანების დარჩენის დროითი მაჩვენებლებიც. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის მიმღებთა 47% სისტემაში 5 წელზე მეტხანს რჩება, ბენეფიციართა 19.3 % შემწეობას 11 წელზე მეტი ხნის, ხოლო 61 000-ზე მეტი ადამიანი - 15 წელზე მეტი ხნის მანძილზე იღებს.

მიუხედავად სისტემის მიერ მოსახლეობის დაფარვის მაღალი მაჩვენებლებისა, სერვისის მიღმა არაერთი მოწყვლადი ჯგუფი და ადამიანია დარჩენილი. მაგალითისთვის, სისტემა ვერ ხედავს ქუჩაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც უკიდურეს მოწყვლადობაში იმყოფებიან და სახელმწიფოსგან მხარდაჭერას საჭიროებენ. როგორც სოციალურივაზ სამართლიანობის ცენტრის მიერ 2023 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, სისტემა ასევე ნაკლებად ხედავს სხვადასხვა უსახლკარო ჯგუფის, შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების საჭიროებებსაც. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, სისტემის მიღმა არის დარჩენილი სიღარიბის ზღვარს მცხოვრები მოსახლეობის მესამედი, რომელიც სახელმწიფოს შეფასებისა და შემწეობის დანიშვნისთვის არ მიმართავს. სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის ხარვეზების გამო, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვის შემთხვევაშიც კი, არსებობს შინამეურნეობების მხარდაჭერის გარეშე დატოვების შესაძლებლობა. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევით, ბავშვთა მიზნობრივი შემწეობის პაკეტი არასრულწლოვნების ყველაზე ღარიბი დეცილის მხოლოდ 43 %-მდე აღწევდა, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით კი მოცემული სერვისით სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 37 % იყო მოცული.

საარსებო სისტემის ხარვეზები კიდევ უფრო პრობლემურად ითვლება იმ პირობებში, როდესაც სოციალურად დაუცველის სტატუსსა და ქულაზე არაერთი სხვა ბენეფიტის მიღებაა

დამოკიდებული. მაგალითად, მუნიციპალურ დონეზე არსებული სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილი ექსკლუზიურად სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მიემართება, რაც საარსებო შემწეობის სისტემის მიღმა დარჩენილთა გარიყვას იწვევს ისეთი მნიშვნელოვანი სერვისებიდან როგორებიცაა, მაგალითად, მედიკამენტების დაფინანსება, უფასო სასადილოს მომსახურება, ფულადი დახმარებები, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება და სხვა.

14. შრომითი უფლებები

წინა წლების მსგავსად, 2023 წელს კვლავ დაფიქსირდა არსებითი დარღვევები სამართლიანი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უგულებელყოფის, ღირსეული ცხოვრებისათვის შეუსაბამო ანაზღაურების, გადაჭარბებული სამუშაო საათებისა და აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომის, დეკრეტული შვებულების არასათანადო ანაზღაურებისა და შვებულებისა და დასვენების შესაძლებლობების ნაკლებობის კუთხით. კანონმდებლობაში არსებული მრავალი ფორმალური გარანტია არ არის რეალურად აღსრულებული პრაქტიკაში, ხოლო გარკვეული საკითხები პრობლემურად რჩება კანონმდებლობის დონეზეც კი. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამუშაო ადგილზე გარდაცვალებისა და დაშავების შემთხვევები. დამსაქმებელთა ცნობიერებისა და ნების ნაკლებობა, დაიცვან შრომის ძირითადი სტანდარტები, ისევე როგორც სუსტი სახელმწიფო ზედამხედველობა და შრომითი უფლებების აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობა კრიტიკულ სისტემურ ჩავარდნებს წარმოადგენს, რომელთა გამოსწორებისათვის სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს.

პრობლემურია შრომის ანაზღაურება, რომელიც ღირსეული ცხოვრების გარანტიებს ვერ ქმნის. საქართველოში არ მოქმედებს მინიმალური ხელფასის რეგულაცია (გარდა სამედიცინო სექტორისა), რომელიც დამსაქმებელს ადეკვატური და ღირსეული ხელფასის გადახდას აიძულებდა. შედეგად, ვიღებთ მძიმე შრომას, რომელიც სათანადოდ არ ანაზღაურდება და მშრომელებს თვიდან თვემდე თუ გააქვთ თავი, რომ აღარაფერი ვთქვათ, დანაზოგზე და სამომავლო ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვაზე. დაუფასებელმა შრომამ და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ გასულ წელს მშრომელების არაერთ ჯგუფს უბიძგა ორგანიზებული გაფიცვისა და პროტესტისაკენ შრომითი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. წლის განმავლობაში დასაქმების არაერთ სფეროში ვიხილეთ მშრომელების მხრიდან დამსაქმებელთა მიმართ პროტესტის საჯაროდ გამოხატვის შემთხვევები, მათ შორის, სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, მძიმე ინდუსტრიებში, სამედიცინო სექტორში, განათლების სფეროსა და ონლაინ მიტანის სერვისებში დასაქმებული პირების მხრიდან. მშრომელების სხვადასხვა ჯგუფების საპროტესტო მოძრაობების სიმრავლე ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ რეალობაზე მიუთითებს, რასაც სახელმწიფო ვერ პასუხობს შესაბამისი

სამოქმედო გეგმით. საკითხები, რომლებიც რიგით მოქალაქეებს ყველაზე მეტად აწუხებთ, დიდწილად, არ შემოდის არც პოლიტიკური აქტორების დღის წესრიგში.

2023 წლის კიდევ ერთ პრობლემურ ტენდენციას, წინა წლების მსგავსად, წარმოადგენდა განსხვავებული აზრისა და კრიტიკული შეხედულებების გამო დასაქმებული პირების სამსახურიდან გათავისუფლების ხშირი შემთხვევები. დასაქმებული პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის მსგავსი პრაქტიკით ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა კულტურის სამინისტრო. 2021-2022 წლებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებიდან, მათ შორის, ეროვნული მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოდან 90-ზე მეტი თანამშრომელი გათავისუფლდა. სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების დიდი ნაწილი სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ღიად გამოხატავდნენ განსხვავებულ შეხედულებებს ახალი მენეჯმენტის მიერ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ არაერთი ასეთი გათავისუფლება ცნობილი იქნა უკანონოდ და სამინისტროს დაზარალებული პირების სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. რამდენიმე პირთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და სამინისტროსა და ეროვნულ მუზეუმს კონკრეტული რეკომენდაციები მისცა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომლებიც ამ დრომდე არ არის შესრულებული.

შრომის მიმართულებით არსებულ პრობლემებზე სამუშაოდ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფოს, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის სამმხრივი კონსულტაციები და სოციალური დიალოგი. საქართველოს მთავრობასთან ფორმალურად არსებობს მსგავსი ფუნქციებით აღჭურვილი სათათბირო ორგანო - სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, რომელსაც 2023 წლის განმავლობაში არაერთი მწვავე შრომითი საკითხის შესწავლა ევალებოდა. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის თანახმად, 2023 წლის განმავლობაში კომისიის მიერ განსახილველ საკითხებს მიეკუთვნებოდა - უმუშევრობის შემწეობის, მინიმალური ხელფასისა და დაბალანაზღაურებადი დასაქმებულებისთვის ხელფასის სუბსიდირების მიზანშეწონილობის საკითხები. სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას წლის განმავლობაში ამ მიმართულებით დაკისრებული ფუნქციები სავარაუდოდ არ შეუსრულებია. კომისიის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია ღია წყაროებში არ მოიპოვება და არ გაიცემა არც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხად.